საქართველო
დუშეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
MUNICIPAL COUNCIL OF
DUSHETI

1800 ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
☎: 22-19-38, 22-19-39

№ 510 „24" 06 2014 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტი, აცხადებს კონკურსს ქალაქ დუშეთში მერაბ კოსტავას ქუჩის N 34– ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე.

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე – WWW. procurement. gov. ge.- ს საშუალებით, საკონკურსო განცხადება.

დანართი: ოქმი, საკონკურსო განცხადება, ტექნიკური მოთხოვნა – ცხრა ფურცელი.

პატივისცემით,

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: /ც. სამაგლიშვილი/

ქალაქ დუშეთში სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებელი დროებითი საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. დუშეთი 24 ივნისი 2014 წ.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

ცარო სამაგლიშვილი – დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე,

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. **ვაჟა ჩოხელი** – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი,
2. **ვაჟა ჭინჭარაული** – დუშეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;
3. **ნიკო დუდაური** – დუშეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი,
4. **ქეთინო წიკლაური** – განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი,
5. **იზა გოზიტაშვილი** – საინფორმაციო განყოფილების უფროსი,
6. **ისაკ კარიაული** – ქ. დუშეთის ისტორიული ნაწილის და მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული ძეგლების ურბანული–არქიტექტურული კვლევის – ექსპერტ – კონსულტანტი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა:

მოწვეული სპეციალისტი:

1. **მაია მანია** – არქიტექტურის ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

საკონკურო კომისიის დღის წერიგი:

1. ქალაქ დუშეთში მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად საკონკურსო განცხადების ტექსტის გაცნობა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სპეციალურ ვებგვერდზე განთავსება.

/მომხ. ც. სმაგლიშვილი/

მომხსენებელმა კომისიის წევრება გააცნო საკონკურსო განცხადების ტექსტი, ქალაქ დუშეთში მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10

აპრილის N 641 განკარგულებით, ქალაქ დუშეთში მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციისთვის, საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად თანხის გამოყოფის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ყოფილი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციისათვის საჭირო საუკეთესო პროექტის გამოსავლენად, მიაჩნია კონკურსის ჩატარება და სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება საკითხისშესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნიკო დუდაურმა, ვაჟა ჭინჭარაულმა, ქეთინო წიკლაურმა – მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული შენობა არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, შესულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, ასეთ შენობა –ნაგებობეზე ზრუნავს სახელმწიფო, ნამდვილად მისასალმებელია, რომ სახელმწიფო ზრუნვის ერთ–ერთო ობიექტი აღმოჩნდა სწორედ ჩვენს ქალაქში არსებული შენობა, რომლის რეაბილიტაცია ნამდვილად აუცილებელი და საჭიროა და რომ ამ შენობის რესტავრაციით ქალაქს შეემატება კიდევ ერთი ულამაზესი და უძველესი შენობა. კონკურსის ჩატარება საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ საუკეთესო პროექტი შენობის რეაბილიტაცია –რესტავრაციისთვის, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია.

დაადგინეს:

1. ქალაქ დუშეთში მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად გამოცხადდეს კონკურსი.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილებამ უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების ტექსტის გამოქვეყნება საქართველოს კომნკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სპეციალურ ელექტრონულ გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: / ცარო საძაგლიშვილი/

საკონკურსო კომისიის წევრები:

/ვ. ჩოხელი/

/ქეთინო წიკლაური/

/ვაჟა ჭინჭარაული/

/ ნიკო დუდაური/

/ იზა გოზიტაშვილი/

/ისაკ კარიაული /

ტექნიკური დავალება

ქალაქ დუშეთში მერაბ კოსტავას ქუჩის N34–ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია იმდაგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ საბოლოო საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატებოდეს 400000 (ოთხასიათასი) ლარს.

საბოლოო საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას:

ა) განმარტებითი ბარათი,

ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი.

გ) ტოპოგეგმა,

დ) სამუშაოთა შესრულების გეგმა – გრაფიკი

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი დღგ–ს ჩათვლით.

საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

კონკურსანტების საყურადღებოდ:

კონკურსანტებმა უნდა გაითვალალისწინონ რომ:

ქალაქ დუშეთში რუსთაველისა და კოსტავას ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აგებული ორ სართულიანი ქალაქური ტიპის საცხოვრებელი სახლი, რომელიც მოგვიანებით სამუსიკო სკოლად იქნა გადაკეთებული და ახლაც ამ სახელწოდებითაა ცნობილი. ნაგებობა წარმოადგენს აგურით ნაშენ, ქალაქური ტიპის ორსართულიან საცხოვრებელ სახლს, ანფილადურად განლაგებული ოთახებით და ხის ორნამენტიანი, გრძელი აივნით გახსნილი ფასადით.

სახლის თავდაპირველი ნაწილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული. შემდგომში იგი სახეცვლილია მისი სამუსიკო სკოლად გადაკეთებისა და შემდგომი სარემონტო სამუშაოების შესრულების დროს, რის შედეგადაც დაზიანდა და მოიშალა ხის მხატვრულად დამუშავებული აივნები, სვეტები, სვეტისთავები, კარნიზები, მოშლილია ხის მხატვრული დეკორი, დაზიანებულია ფასადის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები; შელახულია ინტერიერების პირვანდელი სახე და მიმდებარე ტერიტორიის მხატვრულად დამუშავებული ღობე. შენობა დღეს სავალალო მდგომარეობაშია, თუმცა შემორჩენილი ფრაგმენტები, დეტალები და საარქივო მასალა მისი სრული რებილიტაციის საშუალებას იძლევა.

დუშეთის ყოფილი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის მიზანია:

- ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა-შეფასება;
- ძეგლის მდგომარეობის სტაბილიზაციის, მისი რეაბილიტაციისათვისა და ადაპტაციისათვის აუცილებელ სამუშაოთა განსაზღვრა.

ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, ადაპტაციის ელემენტებით. (წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, გათბობა, ელექტროგაყვანილობა) აგრეთვე მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

კონკურსის ძირითადი მიზანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის გადაწყვეტის საუკეთესო წინადადებისა და პროექტის გამოვლენა.

საკონკურსო კომისია.

აცხადებს კონკურსს ქალაქ დუშეთში მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 –ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. **შესყიდვის ობიექტი:** ქალაქ დუშეთში ყოფილი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
2. **კონკურსის მიზანია:**
   ქალაქ დუშეთში ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომსახურების შესყიდვა.
   3. გამარჯვებულმა კონკურსანტმა დასრულებულ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს, აღნიშნულ დოკუმენტაციაზე ექსპერტიზის დასკვნა და დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.
4. **შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა** – 12 000 (თორმეტი ათასი) ლარი.
5. **დაფინანსების წყარო:** დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.
6. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:** 2014 წლის 14 ივლისის 18:00 საათი.
7. **კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება** აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 19′ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge), გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგენს საკონკურსო წინადადებას. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს: ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი; ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
8. **კონკურსის ჩატარების პირობები:**
   კონკურსანტი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს:
8.1 კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მეშვიდე პუნქტში მითითებული მონაცემების შესაბამისად;
8.2 კონკურსანტის პროფესიული გამოცდილება (მსგავსი სახის პროექტებში მონაწილეობა, თანაავტორობა და ა.შ.) შესაბამისი პროექტების ჩამონათვალითა და მასში საკუთარი სტატუსის მითითებით;
8.3. სადემონსტრაციო მასალა:
   8.4 შენობის არსებული მდგომარეობის აღწერა, ფოტოფიქსაცია, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასება;
   8.5. შენობის დაზიანებებისა და არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოვლენილი ვითარების ანალიზზე დაყრდნობით, სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
   8.6. საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების ფასი.
   8.7 გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (მთლიანი და სამუშაოთა სახეობების მიხედვით) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გათვალისწინებით);
   8.8. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2014 წლის 14 ივლისი 11:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე.
9. **კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 21 ივლისს 15: 00 საათზე;**

10. წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დახურულ კონვერტში (კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს საკონკურსო დოკუმენტაცია ელექტრონულ PDF ფორმატში CD).

11. საკონკურსო შესარჩევი სავალდებულო დოკუმენტაციის მიწოდების ფორმა საკონკურსო დოკუმენტების წარმოდგენის ფორმატი - ზამბარით აკინძული A–3 და A-4 ფორმატის ალბომი, შემდეგი შემადგენლობით: - თავფურცელი ობიექტის დასახელებით, დადასტურებული ხელმოწერით ხელმძღვანელის მიერ; სისტემატიზირებული, დასათაურებული უახლესი ფერადი ფოტო მასალა; - ობიექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მასალა (საარქივო ფოტოები, პროექტები და სხვ.) რასაც პრეტენდენტი ჩათვლის საჭიროდ. ზემოხსენებული დოკუმენტები უნდა წარმოადგენდეს ილუსტრირებულ ანგარიშს ტექსტის ანალიტიკური ნაწილით, უახლესი ფოტომასალითა და შესაბამისი რეკომენდაციებით. ალბომი წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე ელექტრონულ (CD) ფორმატში. ფოტომასალა CD-ზე ჩაწერილი (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის– TIFF ან JPEG გაფართოების ფაილები); დაგვიანებით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

12. საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის პირობები:

12.1 შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო წინადადებების შეფასებასა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენას ახდენს საკონკურსო კომისიის მეშვეობით, შეფასების ათ ქულიანი სისტემით, ერთ ეტაპად.

12.2. შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: ა) კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი სადემონსტრაციო მასალისა (სარეაბილიტაციო პროექტი, ესკიზი) – 05 ქულა, ბ) ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულების ქსეროასლები – 0.2 ქულა, გ) საკონკურსო წინადადების ფასი – 0.2 ქულა, დ) ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის ვადის შესახებ – 0.1 ქულა.

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

13. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში: 13.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;

13.2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე; 13.3 თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

14. კონკურსის შეწყვეტა: 14.1 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე; 14.2 შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის აუნაზღაუროს შესყიდვში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

15. ხელშეკრულების დადება: გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვეულ კონკურსანტთან, დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

16. ანგარიშსწორების პირობები: 16.1 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (დღგ-ს გათვალისწინებით). 16.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში, 16.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

17. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები და საკონკურსო მასალების კუთვნილება: საკონკურსო მასალები გადადის კონკურსის მომწყობის საკუთრებაში. მას უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით.

18. დამატებითი ინფორმაცია: საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიაში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. დუშეთი, რუსთაველის №27 . საკონტაქტო პირი: დალი ნამგალაური, ტელ: 595962541

დანართი №1. რეკვიზიტები: კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: ხელმძღვანელის სახელი და გვარი: კონკურსანტის იურიდიული მისამართი: კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: საიდენტიფიკაციო კოდი: კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: ელექტრონული მისამართი: ბანკის კოდი: ანგარიშსწორების ანგარიში: 2. საკონკურსო წინადადების ფასი: 3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად: ხელმძღვანელის ხელმოწერა ------ ----------

დანართი №2, (ხელშეკრულების პროექტი) ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ___ _____ 2014წ. ერთის მხრივ დუშეთის მუნიციპალიტეტსა (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის. (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი _____ (შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა) შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე _____ (ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით) (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: ქალაქ დუშეთში მერაბ კოსტავას ქუჩა N34– ში მდებარე ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა – მომსახურება, რომელიც განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების საფუძველზე.
3.2. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი - ქ. დუშეთი, რუსთაველის №27.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ: 1. ვაჟა ჭინჭარაული, 2. გელა წოწკოლაური,

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტები.

ხელმოწერები:

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტი,

საკრებულოს თავმჯდომარე: /ც. საძაგლიშვილი/

მიმწოდებელი:

_____